ავთანდილ თორდია

DOI: https://doi.org/10.52340/zssu.2022.14.02

ეწერის წმინდა გიორგი

აბსტრაქტი: *სტატია ეხება იმ ძეგლის წარსულის აღდგენას, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ მიწასთან იქნა გასწორებული. გასული საუკუნის 20-იან წლებში, საკვლევ ადგილზე დაუფიქსირებიათ შემდეგი ტოპონიმები: გუძუბა, ნაოხვამუ, ნადოხორუ, ჭელეთი ჯიხა, ჟუღეჯიანიშ დიხა. ნანგრევები ისეთი შთამბეჭდავი ყოფილა, მითური ეგრისის ნაშთად მიუჩნევიათ მკვლევრებს (იხ. ნახ 1). სულ მალე 30-იან წლებში იქაურობა ისე დაუნგრევიათ, რომ 1976 წელს, როცა პირველად მოვინახულეთ, ეკალ-ბარდებით დაბურულ შემაღლებაზე მხოლოდ გაურკვეველი ნაგებობის კედლის ნაშთი ჩანდა.*

1996 წელს, როცა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იქაურობა გაწმინდეს, აღმოჩნდა, რომ ის ბაზილიკური ტიპის ეკლესია იყო, რომელიც აღვწერეთ და ავგეგმეთ (იხ. ნახ 2), რაც მთავარია, იქ ნაპოვნი ორი ასომთავრული-კიდურწაისრული (XI ს) წარწერის პუბლიკაცია მოვახდინეთ (1996 და 2005 წლებში). სამწუხაროდ, მე-2 სრული სახით მოღწეული წარწერა არასწორად იქნა გაშიფრული. ეკლესიის საერთოდ განადგურების შემდეგ აუცილებლად ჩავთვალეთ წინა პუბლიკაციებში დაშვებული ხარვეზების გამოსწორება და ახალი მასალით შევსება, რაც მოცემულია წარმოდგენილ ნაშრომში.

საკვანძო სიტყვები: *ჭელეთი ჯიხა, სარეკელი, ნადოხორუ, გუძუბა.*

Avtandil Tordia

Saint George of Etseri

Abstract: *The article focuses on efforts to recreate the plans and inscriptions of the demolished Saint George church of Etsteri. In the 1920s, the following toponyms were recorded at the research site: Gudzuba, Naokhvamu, Nadokhoru, Tcheleti Jikha, Zhughejianish Dikha. The ruins were so impressive that the researchers considered them to be the remains of the mythical Egris (see chart. 1). Soon, in the 1930s, the place was destroyed*

to the point that in 1976, when we visited for the first time, only the remnants of a wall of an indistinct building could be seen on the hill covered with thorns.

In 1996, when local residents cleared the site, it turned out to be a basilica-type church, which we described and created a floor plan (see chart. 2), and most importantly, we published the two Asomtavruli-Kidurtsaisruli (XI century) inscriptions found there (in 1996 and 2005). Unfortunately, the second complete inscription was deciphered incorrectly. After the total destruction of the church, we decided to correct the mistakes made in the previous publications and presenting new material, which is given in this work.

***Keywords**: Cheleti Jikha, Sarekeli, Nadokhoru, Gudzuba.*

ეწერის წმ. გიორგის ეკლესია მდებარეობდა ზუგდიდის გარეუბანში, ახალი აბასთუმნისკენ მიმავალი გზის ხელმარცხნივ (ქაღალდის კომბინატს, სახერხ ქარხანას და ე.წ. შავი ზღვის და ზუგდიდის რკინიგზას შორის. ყოფილ ნავთობბაზასთან ახლოს), აკაკი ჭანტურიას ისტორიულ-არქეოლოგიური რუკის მიხედვით „ჯუღეჯიანიშ ენწერში“. მდ. ჭელეთი-წყარს (რომელიც დღეს დამშრალია) - მდ. ენგურს („ინგირის კიდა“) და სალარო ბეგს (სადაც მოხდა 1779-1780 წელს ცნობილი რუხის ბრძოლა ოდიშ-იმერეთის და აფხაზეთ-ჩერქეზ-ჯიქთა ჯარებს შორის) - ე. წ. „წიფიეშ“ წმ. გიორგის „ნაოხვამუს“ შუა.[1]

იხ. N1 რუკა აკ. ჭანტურიას მიხედვით

[1] წიფია ტოპონიმი უცილობლად უკავშირდება იტალიურ-ფრანგული წყაროებით ცნობილ წიფურიას.



ამ ადგილის განსაკუთრებულ ისტორიულ მნიშვნელობაზე მეტყველებს არაერთი ტოპონიმი: გუძუბა, რომელიც ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის არქეოლოგიურ ძეგლზე, ხოლო-ჯუღეჯიანიშ ჯიხა, ჭელეთი ჯიხა, ნადოხორუ, „ეგრისი“ ? (აკ. ჭანტურიას რუკა, 1) ნაოხვამუ, სარეკელი (სამრეკლო), ნოჯიხი კი ფედალური-ხანის მნიშვნელოვან დასახლებაზე მიგვითითებს. ძეგლი ჩვენს მიერ პირველად დაზვერილი და აღწერილი იქნა 1976 წლის სექტემბერში, როცა იქ ლეონტი მროველის მიერ ნახსენებ ეგრისს - „...ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თჳსი ეგრისი, აწ ამ ადგილას ჰქვანან ბედია“ (2;5). ლეონტის გავლენით ამას იმეორებს ვახუშტი (3;780) ვეძებდით. მიუხედავად იმისა, ეგრისი ისტორიოგრაფიაში ბედიასთან ასოცირდება, ჩვენ, როგორც სხვა მკვლევრებს (ს. კაკაბაძე, აკ. ჭანტურია...), ენგურის (ეგური, ეგრისის-წყალი - 4;72) და ეგრისის ურთიერთმიმართებამ გაგვიჩინა აზრი, ნახევრად მითიური „ეგრისი“ ენგურის სიახლოვეს გვეძებნა და როცა ძველი ჯუღეჯიანის ხანდაზმულ მკვიდრებისგან გავიგეთ ადგილი „სარეკელზე“ და „ნოჯიხზე“ და იქ არსებულ ნაგებობებზე, რომელიც დაუნგრევიათ (აუფეთქებიათ) ენგურქაღალდ კომბინატის მშენებლობის საჭიროებისთვის, გასული საუკუნის 30-იან წლებში. იქიდან დიდი რაოდენობის ქვები გაუზიდავთ, ის რაც გადარჩა, მიწასთან გაუსწორებიათ. აქ ჩაის

პლანტაციის გაშენების შემდეგ გადარჩენილა მხოლოდ შემაღლებაზე მდგარი ე. წ. „ჯიხა“, რომელიც ეკალ-ბარდებით ისე იყო დაბურული, მხოლოდ შენობის N და O კედლის ნაწილი დავაფიქსირეთ ჯიხას გავლენით, ის კოშკის ნაშთად ჩავთვალეთ. ასევე ადგილზე ავკრიფეთ კერამიკის უსახური ნამტვრევები - მეორედ ძეგლი მოვინახულეთ, როცა შემთხვევით გავიგე, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს 1996 წლის ზაფხულში იქაურობა გაუწმენდიათ და აღმოჩნდა, რომ კოშკი კი არა, ის მცირე ზომის ეკლესიის ნანგრევი იყო. გაწმენდის დროს ადგილზე ნაპოვნი იყო ჩუქურთმიანი ქვები, მათ შორის ერთი ე.წ. „ბოლნური ჯვრის“ გამოსახულებიანი ქვა, ხოლო მეორე ასომთავრულით (მრგლოვანით) შესრულებული წარწერა კირქვის ფილაზე, როგორც შემდეგ გავარკვიეთ წარწერის დასაწყისი ნაწილი, რომელიც ვლაქერნის ღვთისმშობლის ტაძრის იმჟამინდელი მოძღვრისთვის გადაუციათ.

ამბის გაგებიდან მეორე დღეს დაუკავშირდი აწ განსვენებულ მკვლევარს აბ. ტუღუშს, რომელიც იმ ადგილზე ნამყოფი ყოფილა 80-იან წლებში, ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად. გავეშურეთ ძეგლის სანახავად. ის საკმაოდ კარგად დაგვხვდა გაწმენდილი იატაკის დონეზე. ჩვენ აღვწერეთ და ავგეგმეთ ეკლესია, რომელიც ბაზილიკის ტიპის სამნაწილიანი ნაგებობა იყო, რომლის ყველა კედელი სარკმლის ქვედა ზღვრის დონეზე იყო შემორჩენილი. შუა, მთავარი ნავი დარბაზული ტიპის სამლოცველოს წარმოადგენდა (გარე ზომები - 8, 8X5, 9 მ. კედლის სისქე - 0.9 მ.). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხუროთმოძღვარი (კალატოზი) შესაშური სიზუსტით იცავდა პროპორციებს, რაც სულაც არაა გასაკვირი, როცა გავიგებთ რომ ის ტაო-კლარჯეთის ბრწყინვალე სამშენებლო სკოლის წარმომადგენლის მემკვიდრე - შთამომავალია. ტაძრის აფსიდა ნახევარწრე იყო (3.5X1,5მ.), N-ის და S-ის კედლებიდან 0,3 მ-ით შიგნით შეწეული, O-ით ზუსტად შუაში ჰქონდა სარკმელი, რომელიც შიგნიდან გარეთ ვიწროვდებოდა (0,7-0.4 მ.) მისი სიმაღლის დადგენა, სამწუხაროდ, შეუძლებელი იყო. სარკმლის ორივე მხარეს ერთნაირი სიგანის და სიღრმის (0,7X0,9 მ.) ნიში (წალო) ჰქონდა. აფსიდის გამოკლებით. მთავარი ნავის შიდა ზომები იყო (5.5X4,10მ). S-ის კედელი ყრუ იყო, N-ის კედელს, რომელიც თითქმის მთელ სიმაღლეზე იყო შემორჩენილი, NW კუთხიდან 1,65 მ-ის დაცილებით, 1 მეტრის სიგანის კარი ჰქონდა. კარის O კუთხეში, ასევე ზუსტად მის მოპირდაპირედ S-ის კედელზე ერთი და იგივე ზომის (0.85-0,85მ.) კვადრატული კედელი იყო მიშენებული. წინა გამოცემებში ეს კედლები ჩვენ შეცდომით დაზიანების შემდეგ მიდგმულად მივიჩნიეთ (5;84), თუმცა შემდეგ მივხვდი, ის იმთავითვე ასე იყო

გათვალისწინებული. აფსიდის სივიწროვის გამო, გამოყოფდა საკურთხეველს, მლოცველთა სადგომი სივრციდან, მითუმეტეს, როგორც მაგ-ბაღმარანის მცირე სამლოცველო (6X4 მ) ისიც ფეოდალის კარის ეკლესია იყო. ეკლესიას შესასვლელი W-ით ჰქონდა (სიგანით - 1,2 მ.), თლილი ქვებით მორთული კარის თავები ჩუქურთმიანი გვირგვინით ბოლოვდებოდა. მათ შორის თაღი უნდა ყოფილიყო, სწორედ ამ თაღის ნაწილს წარმოადგენდა ის წარწერიანი ქვა, რომელზეც ზემოთ აღვნიშნეთ. სამშენებლო მასალად გამოყენებული იყო, როგორც კირქვა ისე, შირიმის და რიყის ქვები. იქვე აღმოჩენილი იყო ე.წ. ქართული აგურის და კრამიტის ნიმუშები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, N კედელს კარი ჰქონდა, ის გადიოდა ოთხკუთხა ნავში, რომელიც სამკვეთლო იყო, მისი გარე ზომები (5,9 X 2,7 მ.), ხოლო შიდა ზომები (4,2 X 1,9 მ.) იყო. რაც შეეხება S კედელზე მიდგმულ სათავსოს (გარე ზომები - 5,3 X 2,7 მ.,შიდა ზომები - 3,5 X 1,9მ), რომელსაც შესასვლელი, როგორც შუა, მთავარ ნავს, W-ის მხრიდან ჰქონდა, როგორც ჩანდა ის ეკვდერის მოვალეობას ასრულებდა. ეკლესიის აზომვის დროს ჩვენს მიერ (აბ. ტუღუში, ავთ. თორდია) იქნა აღმოჩენილი მეორე ასომთავრული წარწერა, თუმცა ჯერ უპრიანი იქნება პირველ წარწერაზე ვისაუბროთ, რომელიც მეორესთან ერთად დადიანების მუზეუმში გადავიტანეთ იმავე 1996 წ-ს.

(იხ ნახ. II, ეკლესიის გეგმა)



ის უეჭველად დასაწყისია კარის თავზე ამოჭრილი წარწერისა, სადაც სავარაუდოდ მოხსენიებული იყო ეკლესიის ქტიტორი, რაც რასაკვირველია მნიშვნელოვანი იქნებოდა, განსაკუთრებით ჩვენი მხარის ისტორიისთვის. თუმცა გადარჩენილი ფრაგმენტიც საინტერესოა. წარწერაზე პირველი ორი სიტყვა დაქარაგმებულია, ქარაგმის ნიშანი მხოლოდ პირველს უზის. წარწერა ასე იკითხება: წ(მიდა)ო გ(იორგ)ი ეწ(ერისაო).., მესამე სიტყვის პირველი ორი ასონიშანია- „ეწ“, ხოლო მესამე ასოს გადარჩენილი ნაწილი და აღმოჩენის ადგილის ჩვენამდე მოღწეული სახელწოდების გათვალისწინებით („ჯუღეჯიანიშ-ენწერი“), სიტყვა უეჭველად უნდა აღვადგინოთ ასე:- ეწერისაო.

(იხ. ნახ.III I წარწერა)



მეორე ჩვენს მიერ გამოვლენილი წარწერა, პირველზე გაცილებით მცირე ზომის გრაფემებითაა შესრულებული, რომელიც ერთ დამუშავებულ კირქვაზეა ამოჭრილი. ის ორ სტრიქონიანია, სრულადაა შემონახული და ასე იკითხება: - **წო გი შე გი / ბრთლისი**

(იხ ნახ. IV, მე-2 წარწერა)



სამწუხაროდ, მაშინ ვიჩქარეთ და ზდუ-ს გაზეთში წარწერა სასწრაფოდ გამოვაქვეყნეთ, ამ სახით - „წ(მიდა)ო გ(იორგ)ი შ(ეიწყალ)ე გ(იორგ)ი /ბ(ი)რთ(უე) ლისი“ (5.84-85). პუბლიკაციის შემდეგ (1996 წ.), მალევე მივხვდი, საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი ბირთვისი, რომ არაფერ შუაში იყო, ვინც ამ ციხე-სიმაგრის წარსული და ადგილმდებარეობა იცის მიხვდება, რომ -„ბრთლისის“ ასე აღდგენა არასწორია. გამახსენდა ბერთა კლარჯეთის „ათორმეტ“ უდაბნოებიდან, ერთერთი მნიშვნელოვანი მონასტერი (6; 356, 357), მასთან ერთად ჭყონდიდის (მარტვილის) 996 წლის წარწერის - გალატოზი მიქაელ ოპიზარი (7; 36,37; N10), ე.ი. ოპიზელი, (ოპიზა კლარჯეთის მონასტრებიდან უპირველესი იყო), და მივხვდი „ბრთლისი“ ბ(ე)რთ(ე)ლისი იყო, ამან კი ახალი მნიშვნელობა შესძინა წარწერას. თითქმის ცხრა წლის შემდეგ აბესალომმა მითხრა, ჩვენი წერილი წარწერებზე, სამეცნიერო კრებულში (5) გამოსაქვეყნებლად გადავეციო, მაშინ ვუთხარი, რომ აუცილებელი იყო - „ბირთუელისის“ ბერთელისად ჩასწორება, თან სათანადო კომენტარებით. დამთანხმდა და იქვე შევადგინეთ ჩასასწორებელი ტექსტი. ეს კრებული 2005 წელს გამოსულა, მე რამდენიმე წლის შემდეგ ვნახე, ტექსტი იგივე იყო, რაც 1996 წელს დაიბეჭდა ზდუ-ს გაზეთში. სამწუხაროდ, აბესალომ ტუღუში მაშინ გარდაცვლილი იყო და ყოველივე ამის მიზეზი გაურკვეველი დარჩა.

წარწერები იმ კუთხითაცაა საინტერესო, რომ შესრულებულია ლამაზი „ტყუბწვეტოვანი“ (ივ. ჯავახიშვილი) დაბოლოებიანი იგივე „კიდურწერტილოვანი“ (ვ. სილოგავა) გრაფემებით, რაც მათ მყარად ათავსებს გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში.

ტყუბწვეტოვანი/კიდურწაისრული წარწერის ჩვენამდე მოღწეული უადრესი ნიმუშია, ოშკის(ტაო) ტაძრის, „ქრისტეს წარწერის ფრაგმენტები, ვედრების კომპოზიციაში; პასტოფორიუმის სამხრეთის კედელი“ (X ს-ის 60-იან წლები), ამ სახის წარწერების „აყვავების“ დროდ XI ს-ის დასაწყისი ითვლება (8; 161). XI ს-ის I ნახევრით ათარიღებენ ალავერდის, სვეტიცხოვლის, სამთავისის (1030 წ.) ტყუბწვეტოვან წარწერებს (9;11), რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს ცნობილ კიდურწაისრულ წარწერებს (აფხაზეთი, იმერეთი, რაჭა, სამეგრელო, სვანეთი), ზოგადად XI ს-ით თარიღდებიან, აქედან უძველესია ქორეთის (ზემო იმერეთი) წარწერა, რომელიც ზუსტად 1000 წლით თარიღდება (7; 37-38, N11), ანუხვა (აფხაზეთი), გიორგი ბასილის ძის წარწერა (იქვე, 64-65,N44), ზ. კრიხი - რაჭა (იქვე; 85;N72), ინჩხური - სამეგრელო (იქვე, 88 ,N76), კაცხი - ზ. იმერეთი, იოჰაბის წარწერა (იქვე; 91; N80), ჯიხუაძის წარწერა (იქვე, 92, N81), მრავალძალი-რაჭა, (იქვე, 95; N85), ნიკორწმინდა - რაჭა (იქვე, 99—101; N91,92,93,94), პატარა ონი-რაჭა (იქვე, NN102,103), სვიფი - ზ. სვანეთი - გაბისოს წარწერა (7,109-110; N107), ქედის უბანი-რაჭა (იქვე,118;N122), ღუმურიში - სამეგრელო, დღ. აფხაზეთი, საგდუხტ დედოფალთ-დედოფლის წარწერა (იქვე,126-127; N139), ჭრუჭი - ზ. იმერეთი (იქვე, 129-130; N145).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ეწერის წარწერები, პალეოგრაფიული ნიშნებით XI ს-ით უნდა დათარიღდეს, როგორც 1996 და 2005 წლების გამოცემებშია, თუმცა მიქაელ ოპიზარის წარწერის (996 წ.) და ტაო-კლარჯეთის, ეპიგრაფიკის გათვალისწინებით, ძეგლი შესაძლებელია აღნიშნული საუკუნის I ნახევრით დავათარიღოთ, ბოლოს დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

1. ეწერის წმ. გიორგის არქიტექტურა, განსაკუთრებით, დაგეგმარება და სამშენებლო ტექნიკა იმ პერიოდის მცირე ზომის ეკლესიებისაგან არაერთი განმასხვავებელი ნიშნის მატარებელი, ორიგინალური ძეგლი იყო.
2. ეწერის წარწერები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე დაცულ წარწერებთან (ინჩხური, მარტვილი /ჭყონდიდი) ერთად

უძველესია, თან გვამცნობენ გაერთიანების გზაზე მდგარი ქვეყნის რეგიონებს შორის ურთიერთობის შესახებ.

3. რაც შეეხება გვარ-სახელ **ბერთელისს,** მართალია, ეს ბერთიდან წარმომავლობაზე მიგვანიშნებს, თუმცა ამ შემთხვევაში სუფიქსი -ის-ი [იგივე მეგრულ-ჭანური (ლაზური) -იშ-ი), გვიჩვენებს, რომ ეწერის ხუროთმოძღვარი გიორგი უშუალოდ კი არ არის ბერთიდან, არამედ მისი მამა ან სხვა ახლო წინაპარი იყო იქიდან, ხოლო თვითონ იქაური მკვიდრია, სადაც დაიბადა და აღიზარდა. რასაც უპასუხებს მისი გვარის ორმაგი დაბოლოება - „ელი“ და „ისი“, იგივე -„იში“. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსგავსი დაბოლოებები ქართულ რეალობაში მხოლოდ მეგრულ-ლაზურისთვისაა დამახასიათებელი. ე.ი. სინამდვილეში **გიორგი ბერთელიში** იქნებოდა, ხოლო მისივე ხელით დაწერილი - ბ(ე) რთ(ე)ლისი, მის წარმოშობაზე, ისე განსწავლულობაზე მიგვითითებს.

4. ჩვენს [აბ. ტუღუში] მიერ წარწერების წინა პუბლიკაციებში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ **ბირთუელისი** (სინამდვილეში **ბერთელისი** ა.თ.) ისეთივე ტიპის საგვარეულო სახელია, როგორიც ხავთასი და მიცემითი ბრუნვის ნიშანი, გვარის მწარმოებლად გვხვდება ზანურ (კერძოდ, ლაზურ) ონომასტიკაში. შემდეგ ჩამოთვლილია გვარ-სახელები: ბაწაში, გეგეში (დღეს გვხვდება მხოლოდ როგორც გეგეშიძე), ნაკაში (ნაკაშიძე), ტუღუში, ხალვაში, ჯაში, ღამბაში (ღამბაშიძე, ფიქრობენ, რომ ეს გვარი სამმაგი დაბოლოებისაა: ღამ-ბა-ში-ძე)... ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ეს შეცდომა იყო - „კერძოდ ლაზური“, რადგან მსგავსი გვარები გვხვდება „კერძოდ მეგრულშიც“ - აბაშია, ბეშია, კაშია, მორგოშია, მაშია, ნაკაშია, სამუშია, ხუხუშია, ჯანაშია... გამომდინარე „ის-იდან ბერთელისი (ხავთასის გავლენით) ჩავთვალეთ (აბ. ტუღუში), რომ ეკლესიის მაშენებელი „სხვაკუთხული“ (უფრო გურული) ხუროთმოძღვარი უნდა იყოს (5; 85), თუმცა, სინამდვილეში იმ დროს (X-XI სს. და შემდგომშიც) გურიის (ბათუმ-ქობულეთის ჩათვლით მოსახლეობა), მეგრულ-ლაზურ ლინგვისტურ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, ე.ი. ხუროთმოძღვარი გიორგი ბერთელისი / ბერთელიში, წარმომავლობით კლარჯეთის ბერთიდან მეგრულ-ლაზურენოვანი, ჩვენი ვარაუდით, სამეგრელოს მკვიდრი იყო.

5. რაც შეეხება პირველ წარწერაში ნახსენებ - „ეწერს“, ამ სახელით ცნობილია ენგურ-ჩხოუშიას შორის მდებარე ვრცელი ტერიტორია, კახათიდან ეწერამდე („სააფაქიო ენწერი“) , მაგრამ წარწერის ეწერი გულისხმობდა კონკრეტულ დასახლებას, რომელიც

დღევანდელ ახალ აბასთუმანსა და ინგირს შორის მდებარეობდა. ამაზე პირდაპირ გვპასუხობს **ზედა ეწერი** (ჟინ ენწერი), რომელიც თავის თავში სხვა, **ქვედა** ეწერსაც მოიაზრებს.

6. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ - ეწერის წმ. გიორგი ფეოდალის კარის ეკლესია

7. უნდა ყოფილიყო. ის ბოლოს ორჯერ, ზუგდიდის რაიონის ექსპედიციის ფარგლებში ვინახულეთ 2009 და 2015 წლებში. დავასკვენით [არქიტექტორ ელ. გოგოხიასთან და არქეოლოგ ლ. ჯიქიასთან ერთად], რომ საჭირო იყო ადგილის არქეოლოგიური შესწავლა და ეკლესიის რესტავრაცია-კონსერვაცია. დღეს ეს შეუძლებელია, რადგან ეგზომ მნიშვნელოვანი ძეგლი არ არსებობს, სამწუხაროდ, მან გასული საუკუნის 60-იან წლებში „მიწასთან გასწორებულ“ ბერთას სავანის ბედი გაიზიარა.

ლიტერატურა:

აკ. ჭანტურია, *ზუგდიდის რაიონის არქეოლოგიური რუკა,* გ. კალანდია, გამარცული საგანძური - თბ. 2006.

„ქართლის ცხოვრება“, I , ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.

ვახუშტი, *„აღწერა სამეფოსა საქართველოსა,“* „ქართლის ცხოვრება“, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.,1973.

ავთ. თორდია, *სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ოდიში*), შოთა მესხიას ზუგდიდის ზსსუ შრომების კრებული, N5, 2012.

აბ. ტუღუში, ავთ. თორდია, *XI ს-ის ორი ახლად აღმოჩენილი წარწერა ზუგდიდიდან,* საქ. მეცნ. აკადემიის, სამეგრელოს სამხარეო-სამეცნიერო ცენტრი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ზუგდიდის ფილიალი, წელიწდეული, I, თბ., 2005.

პ. ინგოროყვა. *გიორგი მერჩულე,* თბ., 1954.

ქართული წაწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, II, დასავლეთ საქართველო, IX-XIII სს, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა გ. სილოგავამ, თბ., 1980.

ვ. ჯობაძე, *ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში,* თბ., 2007.

თ. ბარნაველი, *კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები,* თბ., 1962.